




ხაზ. ჯ. ლოლუასი

— ახლა მაინც მივცით შაურისანი, კოვზი დაიღვას!



უსიტყვოდ

ნუ აიკუთხები მიყვალეულებს!

თემა, რომელსაც ლექსისთვის ვირჩევ. თემა კი არა, მძიმე სენია! მამულუკებად რომ ყიდდნენ სვიჩებს, წამიკითხავს და კიდევ მსმენია!

მაგრამ რას ვერჩით მიცვალებულებს, რად არ ვაკმარებთ წილ-ხვედრ „სახურავს“?! თადარიგს დროზე იჭერს „მეფულე“ და ჭირისუფლის დგება მსახურად!

ზურნის ჭიჭყინსა თუ ბაიათებს, — ჯანდაზას, — უფრო აიტანს კაცი, თლონდ მკვდარს ფულით ნუ აიკუთხები, მისი ხსოვნა ძვირფასი განძი!

ამ სამარცხვინო და მანე ჩვევას დროა, აუკრათ გულა-ნაბადი! თუ რამედ გიღირს ეს ჩემი რჩევა, „ნიანგო“, ადგილს ნუ დამამადლი!

ვენაცვალე ჩემს უფროსს!

ვენაცვალე ჩემს უფროსს, სვერიან კაკაევიჩს, თუმცა, ჰმ! რა არის ცხოვრება?... ამ ორიოდ წლის წინ კი... ვენაცვალე კი არა, კირი მაგას-მეთქი, ვამბობდი... არც მას ვენაცვალე გულზე... ვენაცვალე კი არა, ჩემს დანახვებზე ელეთმელეთი მოსდიოდა. აბა, რა იქნებოდა, ათ წელზე მეტია, მის დაწესებულებაში ვმუშაობ და ორ ათეულზე მეტი ანონიმური წერილი მექნება შეთხზული. ჩემი გამოთხოვით წელიწადში ხუთი კომისია მოდიოდა. ყოჩაღ, მართლაც რკინის ნერვები ჰქონია ჩემს შეფს. რამდენ ჰქეპ-ქუხილს გაუძლო... ის გულზე სკვებოდა, მე კი ვიცინოდი შორიდან, ასე გინდა შენ-მეთქი, ვამბობდი გუნებაში, წინ არ წამწვე, ხომ? ვიქნები შენი კბილის მატლი... ვამბობდი მაშინ, დიას, მაშინ, ორი წლის წინათ, თორემ ახლა? ახლა მაგის ქირიმე, ვენაცვალე ჩემს კაკაევიჩს...

ვითარების შეცვლასთან დაკავშირებით, ორივემ გადავხედეთ ერთმანეთისადმი დამოკიდებულების პოზიციებს...

— ო! ფრთხილად, მელენტი გვარაძე! — ვუთხარი საკუთარ თავს. ეტყობა ჩემმა შეფმა იფიქრა, იფიქრა და მსგავსი რაღაც უთხრა საკუთარ თავს...

ერთხელ დილით, ვღავარ ავტობუსების გაჩერებაზე და უცებ პრიალა „ვოლგა“ ჩქიქურ გაჩერდა ჩემს წინ.

— გუჯმახანოვიჩ, მობრძანდით! — მომესმა კაკაევიჩის ხმა...

მოულოდნელობისაგან დაბნეული და აღელვებული უსიტყვოდ ჩავჯექი მანქანაში...

— დილით ძნელია, ხომ, აქედან მგზავრობა? ტრანსპორტი გადატვირთულია...

— ძალიან, კაკაევიჩ, ძალიან ძნელია...

— მე გადავწყვიტე, სამოსამსახურო ავტობუსი დავნიშნო თქვენსკენ, ყოველ დილით ჩამოვივლით და წამოვიყვანთ...

— ოჰ! კარგს იზამთ, კაკაევიჩ!..

სამსახურში რომ მივედი, კიბეები მესამე სართულამდე ერთად ავიარეთ. კაბინეტში შესვლისას უფროსმა ჩამილაპარაკა: გუჯმახანოვიჩ, დღის ბოლოს, ექვსი საათის შემდეგ შემოიარეთო ჩემთან...

— ოჰ! რაშია საქმე, — გავიფიქრე, — წელს ჯერ ხომ არაფერი დამიწერია არსად მასზე... რა უნდა ჩემგან?... იქნებ სხვამ დაუწერა და ჩემი ჰქონია... ა? ანდა, როდის იყო კაკაევიჩი თავის მანქანაში მსგავსა? ნამდვილად რაღაცაშია საქმე...

ჩათავდა ის სამუშაო დღეც. თავსატეხი კითხვების ორომტრიალში შევალე კაკაევიჩის კაბინეტის კარი...

— ო! მობრძანდი, გუჯმახანოვიჩ, დაბრძანდი... — მითხრა შესვლისთანავე და დიმილი შემაგება, — როგორაა საქმე, რაიმე ხომ არ გიჭირს...

მე მხრები შევარხე, მაღლობა მოვანსენე. წუთიერი დუმილის შემდეგ უფროსმა ტკბილად დამიწყო:

— წინადადება მაქვს შენთან!.. მოდი, მშვილობა დავამყაროთ ჩვენს შორის, თანახმა ხარ?

— მაგისათვის არ ვიბრძვით ჩვენ, კაკაევიჩ?

— მაშინ პირველი რიცხვიდან გაწინაურებ!

— ოჰ! კაკაევიჩ! კაცი ყოფილხარო უმადლესი რანგის... მე არცა ვარ ღირსი დაწინაურების!

ჩემი უფროსი წამოდგა, ხელი გამომიწოდა, „მირ“-ო, თქვა გამარჯვებულის ხმით...

აი, ამისთანა კაცია ჩემი უფროსი, ვენაცვალე სულში. წინდახედული კაცია, სიტუაციებში სწრაფად ერკვევა, იცის ვისთან... როდის... როგორ... აბა? ხომ ჩამაჩუმა... აწი, მე მასზე ძვირის მთქმელი ვარ?... თუმცა... რა ვიცი, ა?... კი დამაწინაურა, მაგრამ გავა დრო-ხანი და... იქნებ კიდევ მომიხდეს წინ წაწევა... მაშინ? ა?..



ჯინსილოსნები

ნოსირალები — „ნიანგს“

მამო ნიანგო! რკინიგზის ლიანდაგზე ერთადერთი გადასასვლელი, „პერეუზის“ რომ ეძახიან 1872 წლიდან, კარგა ხანია მოგვიშალეს, სოფლის ცენტრიდან კილომეტრის დაშორებით გადაიტანეს, სადაც მსუბუქი მანქანებიც რის ვაივალახით ძვრებიან. ის კი არა, ჩვენი სოფლის დაბალი კაცებიც მოუხრელად ვერ გადიან.

სოფლის რგასამდე კომლი მოწყვეტილია გარე სამყაროს. მარცხნივ დარჩა სოფლები ზანა, სუკუნა, ლანჩხუთისაკენ მიმავალი გზა, ნოსირის საბჭოთა მეურნეობის სავარგულები, და კოლხეთის მეთესლეობის საცდელი სადგურის ფილიალი.

იმ ადგილს, სადაც გადასასვლელი იყო კარი-ეთი ჰქვია, რაც ისტორიულად კარი ერთს ნიშნავს. ჰოდა, ეს კარი ერთიც მიგვიკეტეს ცხვირწინ.

რკინიგზის მარჯვენა მხარეს დარჩა საბჭოთა მეურნეობის კანტორა, მაღაზიები, სასადილო, ფოსტა, სასაფლაო, კლუბი და, რაც მთავარია, ახალაშენებული ხუთსართულიანი საშუალო სკოლა. არც ერთი ბავშვი სკოლაში ახალი გასაძრომით არ დადის. იძულებულნი ვართ, ძველ გადასასვლელამდე მივაცილოთ ბავშვები და გააკეთილებების დამთავრებამდე დაველოდოთ, რათა ავიცილოთ უბედური შემთხვევები.

კომბაინები, ამწეები, ტრაქტორები და მთელი საბჭოთა მეურნეობის სასოფლო-სამეურნეო მექანიზაცია იქ, ცენტრიდან ორი კილომეტრით დაშორებულ ტეხურის ხიდთან გავლით, ნაცვლად საწვავის ეკონომიისა, ორჯერ მეტ ბენზინს ხარჯავს და აკეთებს ოთხკილომეტრიან წრეს. (დროზე რომ არაფერი ვთქვათ). გვანტერესებს: ორი საშტატო ერთეულის გაუქმება მისცემს სახელმწიფოს მეტ ეკონომიას, თუ აქ მოყვანილი არაეკონომიური ფაქტები?

იმედი გვაქვს, ამ ბარათს უყურადღებოდ არ დაგვიტოვებენ, ვისაც ეს ეხება.

ბაიბაქოვის რაიონის სოფელ დიდელადან რედაქციას წერდნენ: არა გვაქვს სპორტული მოედანი, კლუბი და ბიბლიოთეკა...

სახალხო დემუტატების მიაკოვსკის რაისაბჭოს აღმასკომმა განიხილა რედაქციიდან გადაგზავნილი წერილის შემოწმების შედეგები...

რაისაბჭოს აღმასკომმა ცნობად მიიღო ვარციხის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორის ვ. ბაჭაძის განცხადება...

ტის დაპროექტებას აწარმოებს ბათუმის საპროექტო ინსტიტუტი. დაისმება საკითხი საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს წინაშე...

გზები შესაკეთებელია, არ არის განათება, არ მუშაობს აბანო, ტელეფონი, წერდნენ რედაქციას საგარეჯოს რაიონის სოფელ ყანდაურის მცხოვრებნი. სახალხო დემუტატების საგარეჯოს რაისაბჭოს აღმასკომიდან...

კავშირი, უახლოეს დროში აშენდება სამეურნეობათაშორისო წყალსადენი, რომლის პროექტი უკვე შედგენილია.

რედაქციის წინაშე უჩიოდნენ ანტისანიტარიას ქვეყნის № 2 კლინიკურ საავადმყოფოში. ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სამკურნალო-პროფილაქტიკური დახმარების მთავარი სამმართველოდან რედაქციას მოსწერეს...



ნ.ბ. ელისო მაჰარაშვილისა

მეზობელი მგებლიდან გამოგვიჩვენებს!

ჩამოვინებ შეკითხვა ჩკინიზის მესპუკებს

ჩემს შეკითხვებს სერიოზულს გთხოვთ ნათელი მოპვინით: რატომ არის ბევრი მგზავრი თქვენით უკმაყოფილო?

ვწვალდებით და გულისწყრომაც ჩვენი ძალზე დიდია: რატომ ხდება, ერთ ადგილზე ორ ბილეთს რომ ჰყიდინ?

რასაც ვამბობ, არ გეგონოთ ვბუზღუნებდე როყოლოდ — რატომ არის თეთრეული ძალზე ხშირად ნოტიო?

ზოგჯერ ნაცვლად თეთრი ფერის, შავი არის ზეწარი, ზოგჯერ რუკა გეგონება, ყველა ლაქა ზედ არი.

ციცქნა, მიკრობალიზებზე არც ღირს თავის დადება, (მე მგონია, ბავა-ბალებს უფრო გამოადგებათ.)

აღრე ფანჯრებს ჩამოვწევდით, ახლა — ჩარაზულია. კონდიციონს ჩვენთვის ცხელა? არ გვაგრილებს სრულიად.

ეკ, მგზავრობას ამისთანას არ ვუსურვებ არავის... კაცს რომ გული მისდიოდეს ცივი წყალი არ არის.

გამცილებელს ხმას ვერ გაცემ ისე, რომ არ აყვირდეს... ქობულეთში თუ ჩადიხარ, ზესტაფონში გალვიძებს.

ეს შეკითხვა არ ჩათვალოთ ოინად და ხრიკადა: ნეტავ რისთვის აძლევთ ხელფას მატარებლის ბრიგადას?

და შეკითხვას საბოლოოს, კიდევ მოგცემთ ერთს, რიგით: თქვენთან როდის დამყარდება სანიმუშო წესრიგი?

ვანო ცინცაძე

ბოლო მოვლოს

დღითიღვე მზის სინათლეზე გამოდის მრავალი ბოროტმოქმედებისა და საზოგადოებრივი მუწყის ბნელი საქმიანობა. ახლა ყველასათვის ნათელი გახდა, თუ როგორ ითბობდნენ ხელს ვაჭრობის დარგის მუშაკები...

გადაწყვიტულა მ. ქ-მ ვერა და ვერ შეიგნო, რომ პატიოსნება საჭირო და უხეშად არღვევს ზედმეტ ფასებში ვაჭრობის წესებს. რეიდის მონაწილეებმა სწორედ მაშინ მიუსწრეს მას, როცა 42-მანეთიან ქალის კრისტალონის კაბაში 120 მანეთი გადახდევინა...

ასევე არმად ჩაიჭიბა ფული ვინმე ა. გ.-მ. 45-მანეთიან ქალის მალაქუსლიან ფეხსაცმელში 125 მანეთი აართვა მომხმარებელს. აღნიშნული საქონელი კი ხელზე 70 მანეთი ღირს.

ბევრს ევაჭრენ გამყიდველ დ. ზ.-ს, ვის გაუგია სამმანეთიანი ოსკანი 25 მანეთად გაყიდო, ის ხომ ხელზე 12 მანეთი ღირსო, მაგრამ ვერაფრით მოუგეს გული შუბლაგრეცხილ ადამიანს. საქონელი ჩემია და როგორც მინდა, ისე გავყიდო.

ასევე რეკორდულ ფასებში გაიყიდა ამას წინათ მსუბუქი ავტომანქანა „ვიგულის“ ბენზინბაქის სახურავები. გადაწყვიტულა თითქოს პირი შეკრესო — მანეთიანი საქონელი რამდენიმე წუთში ათ-ათ მანეთად გაასაღეს, მაშინ, როდესაც იგი ხელზე 5 მანეთი ღირს...

გამყიდველ ქ. ს-ს სახლი საწყობი გეგონებათ: რას არ ნახავთ მანდ — რანაირ კაბებსა თუ კოსტუმებს, ქურქებს თუ პალტოებს, პერანგებს თუ ხალათებს, ქოლგებსა თუ სუნამოებს, ოქროს, ვერცხლს, ბროზს, ბრომელთა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა, მაგრამ რად გინდა, ყველაფერს ცეცხლის ფასი ადევს და იშვიათად მომხმარებელი კმაყოფილი დაბრუნდეს იქიდან. აღნიშნულ ვადაყიდველზე ბევრი დაიწერა პრესაში, ბევრი ითქვა რადიოთი, ტელევიზორზედაც არაერთხელ მიქმდენა სპეციალური გადაცემა, მაგრამ ნათქვამია, ჩვეულება რაღა უშეცვლად იქნება.

გვინდებ, არსებული ვითარების ნათელსაყოფად მოყვანილი მაგალითებიც კმარა. დროა, ბოლო მოვლოს მომხმარებელთა აბუჩად ავდებასა და ზედმეტ ფასებში ვაჭრობის წესების უხეშად დარღვევას!

სოფალი ბარათია

ითით თუ არა თქვენ, რომ...

- ზოგჯერ ახალი ცოცხიც კარგად ვერა გვის.
● გუნების დაცვა ყველასათვის სავალდებულოა, დისერტაციის დაცვა კი — არა.
● ჯერ კიდევ არიან გამყიდველები, რომლებიც მომხმარებლებს ხურდის უბრუნებენ.
● დაკაბიჯებულ სტუმარს ზოგჯერ დაუპატიებელი სტუმარი სჯობა.
● ბრაზილიაში ყველაზე ძვირფას ნაყოფს ყავის ხე იძლევა, საქართველოში კი — კაკლის ხე.

თენგიზ

ნ.ბ. ზ. დვისაძისა



— ამ ბოლო დროს რაღაც სხვანაირად დადის მირილი!
— ქვიფი ყანფი ვადასდენია და, აბა, რა ანას?

651
21. XI 78

7-78
ამერიკის შეერთებულ შტატებს თავი მოაქვს, როგორც მშვიდობის მძიებელს ახლოაღმოსავლეთში. ეს მაშინ, როდესაც ისრაელი ამერიკიდან მიღებული იარაღით ანადგურებს ლიბანის სოფლებსა და ქალაქებს.



ნ. ს. ლაზარევიჩისა

ცხიერი ძია

ანტონი მარიანოვიჩი
(პოლონეთი)

ჩემი მემუარები

ორი ათასი წლის დამდეგს, —
ღრმად მოვხუცდები როცა, —
და ჩემი მოგონებების
დადგება წერის ღრცა,
მეგობრებს, ვისაც ვხვდებოდი
თავაზიანი საღმით,
სანუკვარ მემუარებში
უკვდავყოფ ჩემი კალმით!
ჭერ პიკასოსთან შეხვედრის
ამბავი უნდა გითხროს:
„რატომ ეწვივთ სიგარეტს?“ —
გამოფენაზე შკითხა.
ის საუბარი ახლაც კი
ურუნანტელივით მივლის,
მემახსოვრება ყოველთვის,
სანამ ამქვეყნად ვივლი.
რუბინშტეინიც გავიცან
და იმ დღეს მარად ვლოცავ,
ხალხის ჭედვაში ანტონმა
როს ავტოგრაფი მომცა.

მას დარბაზიდან მაშინვე
შეც გავუგზავნე ჩემი;
იმ მიმოწერას კონცერტზე
ვისხენებ მუდამ კლემით.
ლოჟაში მთხოვეს ადგომა
და გამილიმეს თანაც...
თომას მანი და მენრიხიც,
ვხედავ, ჩემს წინა დგანან!
ამ მოგონების სიამით
ვერა და ვერა ვძღვები;
ხსოვნაში ჩამჩა ესოდენ
დელიკატური ძმები!
კაფეში მოვხვდი საღამოს
ელიტ პიაფის გვერდით,
ჩემი ჭიქიდან მის კაბას
დაეცა ღვინის წვეთი;
კვლავ მიუღერს ყურში მისი
ხმა,
რა დამავიწყებს ელიტს!
არ მიცხოვრია ამაოდ,
სუჟეველაფერი მახსოვს;
უკვდავი მემუარებით
ხალხი გამიცნობს ახლოს!
თარგმნა შოთა ამირანაშვილმა

ტომო სტუმრად იყო სოფელში ბიძასთან ქეთა
დღეს გამორბის და ყვირის:
— ბიძია ემილ! ბიძია ემილ! თავი ჩავარდა რძის
ვედროში!
— რა საშინელებაა! ვიმედოვნებ, შენ მას ამოიყვანდი.
— არ ამომიყვანია, მაგრამ კატა კი ჩავაგლე შიგ!

სამსახურიდან დაბრუნებული დედა ეკითხე-
ბა თავის გოგონებს:
* * *
— ჭურჭელი გარეცხეთ?
— კი, დედა, მე გავრეცხე! — პასუხობს უფროსი.
— მე კი გავწმინდე! — დაუმატა შუათანამ.
— მე კი ნამსხვრევები ავკრიფე, დედიკო! — წამოი-
დახა უმცროსმა გოგონამ.

საათი

— არ ვიცი, რატომ არ მუშაობს ჩემი საათი! — ეუბ-
ნება მამა დედას, მესაათესთან უნდა წავიღო გასაწმენ-
დალ!
— ო, არა, მამიკო! მე ვფიქრობ, რომ ის სავსებით
სუფთაა, — პასუხობს პატარა მარი, — ამ დილით გავბ-
სენი და კარგად გავრეცხე ჩემს პატარა ჯამში!

მართი ახალგაზრდა შევიდა სასტუმროში. მოუ-
ლოდნელად იგი ტელეფონზე გამოიძახეს. ახალგაზრდანი
ვესტიბიულში დატოვა თავისი ჩემოდანი წარწერით: „ეს
ჩემოდანი ეკუთვნის ძალოსანს, რომელიც ცალი ხელით
აწვეს 80 კილოგრამს!... მე დაგბრუნდები 5 წუთში!“
როდესაც ძალოსანი დაბრუნდა, ჩემოდნის ნაცვლად,
დახვდა ბარათი: „ეს ბარათი ეკუთვნის აავაზიან მძღოლს,
რომელიც გადის 125 კილომეტრს საათში. მე აღარ და-
გბრუნდები!“

მატარებელში

— რამდენი წლისა ხარ, ჩემო პატარა? — ეკითხება
მატარებელში პატარა ბავშვს მგზავრი.
— ბატონო, მე 5 წლისა ვარ შინ და სამისა, როდესაც
საც მატარებლით ვმგზავრობ! — მიუგო ბავშვმა.
* * *
— ძვირფასო მეზობელო, მათხოვეთ, გეთაყვა, ამ სა-
ღამოს თქვენი აკორდონი!
— თქვენ გსურთ, ისწავლოთ დაკვრა?
— არა, მსურს ერთი ღამით მაინც დავიძინო მშვი-
დალ!

ტომო იბანს პირს ცივი წყლით, უცებ იგი ეუბ-
ნება დედას:
— ო! რა ბედნიერები არიან თევზები, დედიკო!
— რატომ, ჩემო ბიჭიკო?
— იმიტომ, რომ ისინი გალვიძებისთანავე დაბანილნი
არიან!

დედა: არასოდეს არ უნდა გადადო ხვალისათვის ის,
რისი გაკეთებაც შეიძლება დღეს!
შაპი: მაშინ, დედიკო, ნუ აწყობთ კარადაში ნამცხე-
რის ნაჭრებს, მე ის დღესვე შემიძლია შევჭამო!

**ფრანგულიდან თარგმნა
ჯულიეტა იოზაშვილმა**

მთავარი რედაქტორი ზურან გეგაზაშვილი სარედაქციო კოლეგია: **ზ. გოლგაძე** (მთ. რედ. მოადგილე) **ზ. კაციაშვილი**,
ზ. ლომია, **ბ. ლომია**, **ნ. მალაზიანი** (მხატვ. რედ.), **ბ. ნოზიანი**, **ბ. სიხარულიძე** (პ/მგ. მდივანი), **ბ. ფირცხალავა**, **ო. ხელიძე**
● ტექნიკური რედაქტორი **მ. კახალაშვილი**, ● **საბრისა და იუმორის შუროლი „ნიანგი“**. ● თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 42,
● საქართველოს კ. ცკ-ის გამომცემლობა, გადაეცა ასაწყობად 5/X-78 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 3/XI-78 წ. ქალაქის ზომა 70×108/8
ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 2. სააღრიცხვო-საგამომცემლო-თაბახი 1.7 ● საქართველოს კ. ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის
ქ. 14. ● შეკვ. 2711. უე 00949. ტირ. 141.000 **თბილისი, პრ. რუსთაველი № 42, Сатирико-юмористический журнал «Няньги», ● Изда-**
тельство ЦК КП Грузии. ● Типография Издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина № 14.
ტელეფონები: 99-76-69, 93-19-42, 93-10-78, 93-49-32. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ნახატი თემების ავტორები: ა. აღმოსვილი, ნ. იოსელიანი, ბ. კონტოპი, მ. ლომიძე, ა. თქობრიანი, ბ. ა. უმილიანი, ი. უმილიანი, რ. ჯამი, ა. წუ-
ლაძე.

